



გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, დოქტორი აქსელ ბოეტიხერი პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი

ასისტენტი, სამართლის დოქ. ანრი ოხანაშვილი (თსუ), LL.M. (იენა)

შინაარსი

სტატიები

სათელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის ცალკეული პრობლემები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. *მაკა ხოდელი*, LL.M. (ფრაიბურგი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

135

გადაწყვეტილებების კომენტარები

ბრალდებულის კონფრონტაციის უფლება და მისი დარღვევის შედეგები სისხლის სამართლის პროცესში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ* (N9154/10)
მეცნიერ-თანამშრომელი *კიმ სესილ ფალკე*, თიუბინგენის უნივერსიტეტი

143





სარედაქციო კოლეჯია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის მიწის სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე
ყოფილი მოსამართლე, დოქ.
ბერნდ ასბროკი
ბრემენის რაიონული სასამართლოს
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ზესტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, დოქ. აქსელ ბოეტტიხერი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
ასოცირებული პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი
LL.M. (ბერლინი)
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე
ადვოკატი დავიდ კონრადი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. თამარ ლალიაშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლაერენტი მაღლაკელიძე
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი LL.M.
(ფრაიბურგი)
ასისტენტი, სამართლის დოქ. ანრი ოხანაშვილი LL.M.
(იენა)
დოქ. ანეკე პეტცუე
დოქ. მარტინ პიაცენა
დოქ. ეროლ პოლრაიხი
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის
დანაშაულის, უსაფრთხოებისა და სამართლის
შესწავლის ინსტიტუტში, დოქ. იონა რინჩიანუ LL.M.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე
ტერეზა ტალჰამერი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.
(ჰამბურგი)
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლევან ხარანაული
ასისტენტი-პროფ. დოქ. მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)
ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.
(მიუნხენი)
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

ჟურნალის 2021 წლის მეოთხე ბამოცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:

თამარ შავგულიძე LL.M. (პასაუ), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
ასისტენტი-პროფესორი, სამართლის დოქ. მაკა
ხოდელი, LL.M. (ფრაიბურგი)

სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

ლევან კასრაძე LL.M. (ოსლო), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
აზა მორგოშია LL.M. (კიოლნი), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
მარიკა ტურავა LL.M. (ჩიკაგო), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა

2021 წლის მეოთხე გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სამართლის დოქ.
ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა), ასისტენტი (თსუ),
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარე

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის ცალკეული პრობლემატიკა ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. *მაკა ხოდელი*, LL.M. (ფრაიბურგი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემატიკა მნიშვნელოვანი გამოწვევაა სისხლის სამართლის პროცესში. მწვავე დისკუსიის საგანია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა. იქიდან გამომდინარე, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში¹ 2014 წლიდან გაჩნდა,² ამ ღონისძიებათა შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა გამოყენებას არ აქვს დიდი ისტორია. მეცნიერთა ნაწილში ჩამოყალიბდა სკეპტიკური დამოკიდებულება სსსკ-ში ფარულ საგამოძიებო ღონისძიებათა არსებობისა და მათი, როგორც მტკიცებულებების მოპოვების ლეგალური წყაროს, დაშვების შესახებ.³

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფარული საგამოძიებო ღონისძიების, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა განსაკუთრებულ სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს. მაგალითად, მეტად საინტერესო და საკამათოა შემდეგი საკითხები: სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ფარული მიყურადების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება ზღუდავს თუ არა ბრალდებულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ გარანტიას – თვითინკრინინაციისგან დაცვის პრივილეგიას; აგრეთვე, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისას კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები შეიძლება

თუ არა რაიმე ფორმით შემდგომში გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

ამ საკითხების ირგვლივ არსებული ძირითადი პრობლემური ასპექტების გარკვევის მიზნით წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის ზოგადი საკითხები (II ნაწილი), ფარული მიყურადების შედეგად კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები, მათ შორის, *nemo tenetur* პრინციპის გათვალისწინების საკითხი ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას და კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა გამორიცხვის შემდგომი გავლენა (III ნაწილი).

II. ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის ზოგადი საკითხები

სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

მართლმსაჯულების განხორციელებისას ეს ქვაკუთხედი, კერძოდ, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით (სსსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი). დაუშვებელია სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო ორგანოების მიერ მტკიცებუ-

¹ შემდგომ შემოკლებულია, როგორც სსსკ.

² იხ. საქართველოს 2014 წლის 1 აგვისტოს კანონი №2634 (ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2457218?publication=0>, ბოლოს ნანახია: 17.11.2021).

³ *მეფარიშვილი, ვია*, ცხოვრება და კანონი, მე-2 შევსებული გამოცემა, 2008, გვ.: 181, 51-52; ცხოვრება და კანონი, 2007, გვ.: 28, 40.

ლებათა მოპოვება კანონის უხეში დარღვევით და შემდეგ ამ მტკიცებულებათა გამოყენება განაჩენის დადგენისას; რადგან ამ შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენით დანიშნულ სასჯელს არ ექნება ლეგიტიმაცია.⁴ ამიტომ, მტკიცებულებათა უკანონო მოპოვება ყველაზე მძიმე კატეგორიის დანაშაულში პირის მხილების მიზნით ან ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების სირთულეებითაც კი არ შეიძლება იყოს გამართლებული.⁵

სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასთან მიმართებითაც მტკიცებულებები მოსამართლის შეფასების საგანია. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით მოსამართლე უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება.⁶ მოსამართლის მიერ მტკიცებულების თავისუფალი შეხედულებით შეფასება იზღუდება, მაგალითად, დაუშვებელი მტკიცებულების არსებობით.⁷ სსსკ არ იცნობს დასაშვებ მტკიცებულების ცნებას და განმარტავს, რომ „მტკიცებულება დასაშვებად მიიჩნევა, თუ მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველი არ არსებობს“.⁸

მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხთან მიმართებით უნდა გაიმიჯნოს მტკიცებულებათა მოპოვების აკრძალვა და მტკიცებულებათა გამოყენების აკრძალვა.⁹ პირველ შემთხვევაში აკრძა-

ლულია გარკვეულ მტკიცებულებათა მოპოვება, ხოლო მეორე შემთხვევაში საქმე ეხება მტკიცებულებებს, რომელთა სასამართლოში გამოყენებაც იკრძალება.¹⁰ მაგალითად, თუკი სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების შედეგად მტკიცებულება (მაგ. სატელეფონო ჩანაწერი) კანონიერი საფუძვლით იქნა მოპოვებული, ამ მტკიცებულებათა სისხლის სამართლის საქმეში დასაშვებობის საკითხი არ დადგება ეჭვქვეშ. თუმცა, ჩნდება კითხვა: შეიძლება თუ არა კანონიერად მოპოვებული ასობით სატელეფონო ჩანაწერიდან ყველას გამოყენება ბრალდებულის წინააღმდეგ იმის მიუხედავად, თუ ვის მიერ ან ვისთან განხორციელებულ სატელეფონო კომუნიკაციის შინაარსს შეიცავს ჩანაწერი.¹¹ ზოგადად, მტკიცებულებათა მოპოვების კანონიერი საფუძვლები იმავდროულად ამართლებს ამ საფუძვლებით მოპოვებული მტკიცებულებების სისხლის სამართლის პროცესში გამოყენებას, თუმცა ასეთი შედეგი ყოველთვის არ არის გარდაუვალი.¹² მაგალითად, ეს ხშირად ეხება სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას, როდესაც ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ხდება ისეთი სატელეფონო საუბრის ჩანაწერაც, რომლის მოპოვებისთვისაც მოსამართლის განჩინების მიღება ცალკე არასოდეს იქნებოდა შესაძლებელი.¹³ ამიტომ, კანონიერად მოპოვებული ფარული ჩანაწერის სასამართლოში გამოყენების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, ამ ჩანაწერის გამოყენებით ხდება თუ არა ჩარევა კანონით დაცულ სფეროებში და იწვევს თუ არა ეს ადამიანის უფლებათა ხელახალ შეზღუდვას.¹⁴ ამდენად, გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო

⁴ *თუმანიშვილი, გიორგი*, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), 2014, გვ. 241 და მომდევნო გვერდი.

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/2/579 გადაწყვეტილება, II.პ.7.

⁶ *ჩომახაშვილი, ქეთევან/თომაშვილი, თამარ/ძებნიაური, გირშელ/ოსეფაშვილი, სალომე/პატარიძე, მარია*, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016, გვ. 28 და მომდევნო გვერდი; მოსამართლის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით იხ. *ჯორბენაძე, ომარ/ხათაშვილი, ელენე*, მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის ზოგიერთი საკითხი, მართლმსაჯულება და კანონი N2 (54) 2017, 108, 110 და მომდევნო გვერდები (ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajulebada-kanoni-2017w-n2.pdf> , ბოლოს ნანახია: 17.11.2021).

⁷ *ლალიაშვილი, თამარ*, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, 2015, გვ. 133.

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/2/579 გადაწყვეტილება, II.პ.13.

⁹ *თუმანიშვილი, გიორგი*, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), 2014, გვ. 248 და მომდევნო გვერდი; *Heger, Martin, Polreich, Erol*, Strafprozessrecht, 2. Aufl., 2018, Rn. 391; დაუშვებელ მტკიცებულებათა ცნებებსა და კლასიფიკაციასთან დაკავშირებით იხ. *Ambos, Kai*, Beweisverwertungsprobleme, 2010, S. 21 ff.

¹⁰ *თუმანიშვილი, გიორგი*, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), 2014, გვ. 249; *Heger, Martin/Polreich, Erol*, Strafprozessrecht, 2. Aufl., 2018, Rn. 391

¹¹ *Rudolphi, Hans-Joachim*, Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs nach den §§ 100 a, b StPO, in Schaffstein-Festschrift, 1975, S. 433, 446.

¹² *Rudolphi, Hans-Joachim*, Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs nach den §§ 100 a, b StPO, in Schaffstein-Festschrift, 1975, S. 433, 446.

¹³ *Rudolphi, Hans-Joachim*, Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs nach den §§ 100 a, b StPO, in Schaffstein-Festschrift, 1975, S. 433, 446.

¹⁴ *Rudolphi, Hans-Joachim*, Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs nach den §§ 100 a, b StPO, in Schaffstein-Festschrift, 1975, S. 433, 446.

ორგანოების მიერ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ ფარული მიყურადებისას, არამედ ამ მიყურადების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სისხლის სამართლის პროცესში გამოყენების დროსაც.¹⁵

III. ფარული მიყურადების შედეგად კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში კონსტიტუციის ამ დათქმას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის გამოხატულებად მიიჩნევს.¹⁶

სსსკ განსაზღვრავს დაუშვებელი მტკიცებულების არსს და 72-ე მუხლის პირველ ნაწილში ადგენს, რომ არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

საინტერესოა კანონის არსებითი და არაარსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა შორის განსხვავება.¹⁷ საქართველოს კონსტიტუცია ამგვარ დიფერენციაციას არ ითვალისწინებს და იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებს კანონის დარღვევით მოპოვებულ ნებისმიერ მტკიცებულებას.¹⁸ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული

მოსაზრების თანახმად, თუკი მტკიცებულებათა მოპოვებისას კანონდარღვევა უმნიშვნელოა და არსებითად არ ლახავს ბრალდებულისა თუ პროცესის სხვა მონაწილის ძირითად უფლებებს, სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მიუღებელია, რომ ამ მიზნით მტკიცებულებები დაუშვებლად იქნეს ცნობილი და, შედეგად, ხელი შეეშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.¹⁹ ამრიგად, მტკიცებულებათა მოპოვების დროს დაშვებულმა ყველა შეცდომამ თავისთავად არ უნდა გამოიწვიოს სისხლის სამართლის პროცესიდან მათი გამორიცხვა.²⁰

მართალია, მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა შესაძლოა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის დამაბრკოლებელი გარემოება აღმოჩნდეს,²¹ თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია გერმანიის ფედერალური სასამართლოს ცნობილი ფორმულირება, რომ საქმეზე ჭეშმარიტება „ყველაფრის ფასად არ უნდა დადგინდეს“²². ქართულ და გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ასევე აღნიშნავენ, რომ ჭეშმარიტების დადგენის პროცესი გარკვეულ კანონისმიერ ფარგლებში არის მოქცეული; მისი მიღწევა შეიძლება მხოლოდ პროცესუალურად დასაშვები საშუალებებით და ის არ არის სისხლის სამართლის პროცესის აბსოლუტური მიზანი²³ ან ღირებულება²⁴.

მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, (სამეცნ. რედ. ტურავა, შაატა), 2013, გვ. 513, 553.

¹⁵ *თუმანიშვილი, გიორგი*, მუხლი 72. დაუშვებელი მტკიცებულება, წიგნში „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი“ (მთ. რედ. გიორგაძე, გიორგი), 2015, გვ. 244, 250; *ჩომახაშვილი, ქეთევან/თომანიშვილი, თამარ/ძებნიაური, გირშელ/ოსეფაშვილი, სალომე/შატარიძე, მარიამ*, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016, გვ. 38.

¹⁶ *თუმანიშვილი, გიორგი/გეგეშიძე, თამარ*, მტკიცებულებათა სახეები და ცალკეული მტკიცებულებების დასაშვებობის პრობლემები, წიგნში „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე“, 2019, გვ. 379, 384; *Heger, Martin/Polreich, Erol*, *Strafprozessrecht*, 2. Aufl., 2018, Rn. 395.

¹⁷ *Ambos, Kai*, *Beweisverwertungsprobleme*, 2010, S. 24.

¹⁸ BGHSt 14, 358, 365; 31, 304, 309; 38, 214, 220.

¹⁹ *თუმანიშვილი, გიორგი*, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), 2014, გვ. 248;

²⁰ *Roxin, Claus/Schünemann, Bernd*, *Strafverfahrensrecht*, 26. Aufl., 2009, § 24, Rn. 19.

¹⁵ *Rudolphi, Hans-Joachim*, *Grenzen der Überwachung des Fernmeldeverkehrs nach den §§ 100 a, b StPO*, in *Schaffstein-Festschrift*, 1975, S. 433, 447.

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/2/579 გადაწყვეტილება, II.პ.1. (ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1018>, ბოლოს ნანახია: 17.11.2021).

¹⁷ ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 მაისის N 2/10/231 განჩინება საქმეზე მოქალაქეები *ივანე ოჩიგავა* და *ალექსანდრე აბრამიშვილი* საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=160>, ბოლოს ნანახია: 17.11.2021).

¹⁸ *ტურავა, მერაბ*, სამართლიანი სასამართლოს უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი

1. თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების განხორციელებისას

გამოძიების ეფექტიანი განხორციელებისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისას რისკი ექმნება ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპის, კონსტიტუციური გარანტიის სისხლის სამართლის პროცესში განხორციელებას, როგორც არის ბრალდებულის თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია²⁵. სამართლებრივ სახელმწიფოში არავინ არის ვალდებული, დაიბრალოს დანაშაული (*nemo tenetur se ipsum accusare*).²⁶ თუმცა ფარული მიყურადების განხორციელებისას ბრალდებულის ნების წინააღმდეგ სახელმწიფომ შეიძლება მისგან მოიპოვოს მისივე მამხილებელი ინფორმაცია და შემდეგ სისხლის სამართლის პროცესში მის წინააღმდეგ გამოიყენოს იგი.²⁷ ამ მოცემულობას სჭირდება სასამართლოს მხრიდან ზედმინეწით ფრთხილი შეფასება. განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ხდება კომუნიკაციის მონაწილის მოტყუება, დაყოლიება, ნდობის მოპოვება და, შედეგად, გამოძიებისთვის სასურველი და ამ პირისთვის მამხილებელი ინფორმაციის მიღება. *Nemo tenetur* პრინციპის შეფასებისას ყურადღება მახვილდება იმ გარემოებაზე, რომ არავის შეიძლება მოეთხოვოს თვითინკრინაცია ჩვენების მიცემის იძულებითა თუ პროცესში აქტიური მონაწილეობით.²⁸ მაგალითად, გერმანიის

ფედერალურმა სასამართლომ ადრეულ გადაწყვეტილებებში ამ პრინციპის არსი განმარტა იმგვარად, რომ თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია გულისხმობს თავისუფლების გარანტიას იძულებისგან – არ მისცე ჩვენება და არ ითანამშრომლო გამოძიების ორგანოებთან, თუმცა იგი არ იძლევა ამ გარანტიას შეცდომის შემთხვევაში.²⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი განმარტავს, რომ დუმილის უფლება და თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია, პირველ რიგში, ემსახურება გამოძიების ორგანოთა მხრიდან ბრალდებულის დაუშვებელი იძულებისა და მასზე ზენოლის მეთოდებით მტკიცებულებათა მოპოვებისგან დაცვას.³⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამით გარკვეულწილად აფართოებს *nemo tenetur* პრინციპის დაცვის სფეროს და მასში ბრალდებულის შეცდომაში შეყვანასაც (მოტყუებასაც) მოიაზრებს.³¹

კონკრეტული საქმისა და მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებისას გადამწყვეტი მაინც იმის დადგენაა, იყო თუ არა სამართლიანი სამართალწარმოების მთელი პროცესი.³² სასამართლომ

Claus, Schünemann, Bernd, Strafverfahrensrecht, 26. Aufl., 2009, § 24, Rn. 40.

²⁹ *Heinrich, Bernd/Reinbacher, Tobias, Examinatorium Strafprozessrecht, 2. Aufl., 2017, S. 170f., Rn. 23.* აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით ე.წ. ფარული გამოძიების საქმეთა შესახებ (*Hörfälle*) გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა *Nemo tenetur* პრინციპის დარღვევა საქმეზე, სადაც გამოძიების საიდუმლო თანამშრომელმა ბრალდებული აქტიურად აიძულა, გაემხილა ინფორმაცია მისთვის მაშინ, როცა ბრალდებული არაერთხელ აღნიშნავდა, რომ უნდოდა დუმილის უფლების გამოყენება (*BGHSt 52, 11*); ე.წ. მიყურადების საქმეებთან (*Hörfälle*) დაკავშირებით იხ. *Roxin, Claus/Schünemann, Bernd, Strafverfahrensrecht, 26. Aufl., 2009, § 24, Rn. 40.*

³⁰ *Heinrich, Bernd/Reinbacher, Tobias, Examinatorium Strafprozessrecht, 2. Aufl., 2017, S. 170, Rn. 23.* აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. საქმეები: *Allan v. UK*; *Bykov v. Russia*; *John Murray v. UK*; აგრეთვე, მაღლაკელიძე, ლავრენტი, ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი, 3/2018, 60, 65 (ხელმისაწვდომია: <https://www.dgstz.de/storage/documents/JjX32IFQwq2ISDULYVKZYgXqe3cREbID5PRbv0wc.pdf> ბოლოს ნანახია: 17.11.2021).

³¹ *Heinrich, Bernd/Reinbacher, Tobias, Examinatorium Strafprozessrecht, 2. Aufl., 2017, S. 170, Rn. 23.*

³² *მაღლაკელიძე, ლავრენტი, ბრალდებულის შეცდომაში*

²⁵ აღნიშნული დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტითა და სსსკ-ის მე-15 მუხლით.

²⁶ *თუმანიშვილი, გიორგი, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), 2014, გვ. 127.*

²⁷ ამ საკითხს განიხილავს *ლავრენტი მაღლაკელიძე* თავის სტატიაში და სვამს კითხვას „შეიძლება თუ არა ეს საგამოძიებო მოქმედება საერთოდ მივიჩნიოთ ბრალდებულის მოტყუებად?“, იხ. *მაღლაკელიძე, ლავრენტი, ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი, 3/2018, 60, 61* (ხელმისაწვდომია: <https://www.dgstz.de/storage/documents/JjX32IFQwq2ISDULYVKZYgXqe3cREbID5PRbv0wc.pdf>, ბოლოს ნანახია: 17.11.2021).

²⁸ *Heinrich, Bernd/Reinbacher, Tobias, Examinatorium Strafprozessrecht, 2. Aufl., 2017, S. 170, Rn. 23; Roxin,*

ამ საკითხის შეფასებისას უნდა გაითვალისწინოს მტკიცებულებათა მოპოვებისას არსებული ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორებიც არის, მაგალითად, პირის წინააღმდეგ განხორციელებული იძულების ხარისხი/ზუნება, კონკრეტული საქმის გამოძიებაში საჯარო ინტერესის მნიშვნელობა, მტკიცებულებათა მოპოვების გარემოება, პირის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედების ხარისხი.³³

ნების თავისუფლებაზე ზემოქმედების ხარისხთან მიმართებით საინტერესოა სსსკ-ის 247-ე მუხლის შინაარსის განმარტება. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე ამ ინფორმაციის აუდიო-ან ვიდეორჩანანერის მოსმენა (დემონსტრირება) და ზემოაღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია. იმავე მუხლის მე-2 ნაწილი კი ადგენს საგამონაკლისო წესს, რომ აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

სსსკ-ის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილის შეუზღუდავი განმარტება არ უნდა იყოს სამართლიანი. ნორმის ამ ჩანაწერთან და ფარული მიყურადებისას *Nemo tenetur* პრინციპთან დაკავშირებით გაზიარე-

ბულ უნდა იქნეს შემდეგი შემაჯამებელი მოსაზრება: თუკი ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარებისას პირის ნების თავისუფლება არსებითად შეიზღუდა, არჩევანის თავისუფლება კი – გამოიყენოს თუ არა დუმის უფლება – მნიშვნელოვნად დაკნინდა³⁴, ასეთ შემთხვევაზე არ უნდა გავრცელდეს სსსკ-ის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი საგამონაკლისო წესი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ძალადობით, პირის ნების თავისუფლების არსებითად შემზღუდავი მეთოდებით ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, ბრალდებულის ნების შესაბამისად, დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი.³⁵

2. კოდექსით გათვალისწინებული მატერიალური და ფორმალური წინაპირობების დარღვევა

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების ჩატარებისთვის სსსკ-ით დადგენილი მატერიალური ან ფორმალური წინაპირობების დარღვევა, სსსკ-ის 72-ე მუხლის შესაბამისად, როგორც წესი, გამოიწვევს მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას. მაგალითად, თუკი სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება განხორციელდა ისეთი დანაშაულის გამოძიების მიზნით, რომელიც არ მიეკუთვნება განზრახ მძიმე ან

შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი, 3/2018, 60, 63 (ხელმისაწვდომია: <https://www.dgstz.de/storage/documents/JjX32IFQwq2ISDULYVKZYgXqe3cREbID5PRbv0wc.pdf> ბოლოს ნანახია: 17.11.2021).

³³ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საქმეებზე: *Schenk v. Switzerland*; *Khan v. the United Kingdom*; *Allan v. UK*; *Bykov v. Russia*. მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით იხ. *ნიპარიშვილი, ბადრი*, მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი N3 (55) 2017, 5, 34 მომდევნო გვერდები (ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2017w-n3.pdf> ბოლოს ნანახია: 17.11.2021).

³⁴ *მალაკელიძე, ლავრენტი*, ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი, 3/2018, 60, 65 (ხელმისაწვდომია: <https://www.dgstz.de/storage/documents/JjX32IFQwq2ISDULYVKZYgXqe3cREbID5PRbv0wc.pdf> ბოლოს ნანახია: 17.11.2021).

³⁵ იმავე მოსაზრებას ავითარებს ლავრენტი მალაკელიძე, იხ. *მალაკელიძე, ლავრენტი*, ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი, 3/2018, 60, 65 (ხელმისაწვდომია: <https://www.dgstz.de/storage/documents/JjX32IFQwq2ISDULYVKZYgXqe3cREbID5PRbv0wc.pdf> ბოლოს ნანახია: 17.11.2021).

განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას და არ არის დანაშაულის შემადგენლობათა კანონით დადგენილ ჩამონათვალში³⁶ (სსსკ-ის 143³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) ან არ არსებობს პირის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი, რომ მას ჩადენილი აქვს კანონით გათვალისწინებული დანაშაული, ის იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისთვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს (სსსკ-ის 143³ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი), ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. აღნიშნულ შემთხვევებში სახეზეა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის კანონით გათვალისწინებული მატერიალური წინაპირობების დარღვევა. მატერიალური წინაპირობების დარღვევასთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ დროს შესაძლებელია კანონდარღვევები შეფასებას დაექვემდებაროს, რადგან სასამართლო პრაქტიკაში მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა მიზანშეწონილად მიიჩნევა მხოლოდ უხეშად მცდარი შეფასების ან აშკარა თვითნებობის შემთხვევაში.³⁷

კანონით გათვალისწინებული ფორმალური წინაპირობების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებთან მიმართებით კი უმთავრესად უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალური წინაპირობის უმნიშვნელო (უბრალო) დარღვევამ (მაგ. საპროცესო დოკუმენტის არასწორი/გაუმართავი წერილობითი ფორმა) არ უნდა გამოიწვიოს მოპოვებულ მტკიცებულებათა სისხლის სამართლის საქმიდან გამორიცხვა.³⁸ თუმცა, თუკი სატელეფონო საუბ-

რის ფარული მიყურადება განხორციელდა სასამართლოს განჩინების ან პროკურორის დადგენილების გარეშე, ჩატარებული ღონისძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.³⁹ გამოდის, რომ აღნიშნული საკითხის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ყოველი შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებს, კანონდარღვევის სიმძიმეს, სიკეთეთა აწონდონის პრინციპს.⁴⁰

3. კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა გამორიცხვის შემდგომი გავლენა

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული წინაპირობები მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით სსსკ-ში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან მიმართებით არ არსებობს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კრიტიკულად არის შეფასებული ის, რომ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები მტკიცების პროცესის მკაცრ მონესრიგებას არ ახდენს.⁴¹ ავტორთა ნაწილი მტკიცებულებათა დასაშვებობის მკაცრ მონესრიგებას აუცილებლად მიიჩნევს და თვლის, რომ მტკიცებულებათა დასაშვებობის წესი გამონაკლისებს არ უნდა ექვემდებარებოდეს.⁴²

საინტერესოა, კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას აქვს თუ არა შემდგომი გავლენა⁴³ სისხლის სამართლის საქ-

დარღვევა, როგორც წესი, არ იწვევს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას. იხ. *Heinrich, Bernd/ Reinbacher, Tobias, Examinatorium Strafprozessrecht, 2. Aufl., 2017, S. 157, Rn. 6.*

³⁹ BGHSt 32, 68, 70; *Heinrich, Bernd/Reinbacher, Tobias, Examinatorium Strafprozessrecht, 2. Aufl., 2017, S. 157, Rn. 6*, საინტერესოა ამ საკითხთან დაკავშირებით, *Ambos, Kai, Beweisverwertungsprobleme, 2010, S. 61.*

⁴⁰ *Heger, Martin/Polreich, Erol, Strafprozessrecht, 2. Aufl., 2018, Rn. 395; Beulke, Werner, Strafprozessrecht, 10. Aufl., 2008, Rn. 471.*

⁴¹ *ჩხეიძე, ია*, მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, 2010, გვ. 79.

⁴² *ჩხეიძე, ია*, მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, 2010, გვ. 80 და მომდევნო გვერდი.

⁴³ სისხლის სამართლის საქმიდან უნდა გამორიცხოს თუ არა დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების („მონამღლუ-

³⁶ ეს მიდგომა გავრცელებულია გერმანულ სისხლის საპროცესო სამართლის დოგმატიკაში, იხ. *Ambos, Kai, Beweisverwertungsprobleme, 2010, S. 61.*

³⁷ BGHSt 39, 335; 41, 30, 34; 47, 362, 366; *Roxin, Claus/Schünemann, Bernd, Strafverfahrensrecht, 26. Aufl., 2009, § 36, Rn. 11; Ambos, Kai, Beweisverwertungsprobleme, Berlin 2010, S. 61; Heinrich, Bernd/Reinbacher, Tobias, Examinatorium Strafprozessrecht, 2. Aufl., 2017, S. 157, Rn. 6; ამასთანავე, იხ. *Haas, Volker, Zu den Anordnungsvoraussetzungen der Telekommunikationsüberwachung nach §100a StPO und zu den Folgen ihrer Missachtung, in Rogall-Festschrift, 2018, S. 517, 531.**

³⁸ გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფორმალური წინაპირობების

მიდან მტკიცებულებათა გამორიცხვის პროცესზე.

მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის ზოგადი წინაპირობის განსაზღვრასთან ერთად სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია. ამით სსსკ ეხმიანება ე.წ. „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინას“⁴⁴, რომლის მიხედვითაც, ყველა ის მტკიცებულება, რომელიც უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე იქნა მიღებული, სისხლის სამართლის საქმიდან უნდა გამოირიცხოს.⁴⁵

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, მტკიცებულებათა გამორიცხვის შემდგომი გავლენის ეს ინსტიტუტი ქმნის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დაკარგვის რისკს და, შედეგად, გამოიძიება ხდება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე“⁴⁶ საინტერესოა გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, „მთელი პროცესი ერთი შეცდომის გამო არ უნდა პარალიზდეს“⁴⁷. გერმანიის სისხლის სამართლის პროცესი, როგორც ჩანს, ამით ითვალისწინებს არა

მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ დისციპლინარულ შეფასებას⁴⁸ (რაც მეტად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ამერიკული „მონამლული ხის ნაყოფის“ დოქტრინისთვის), არამედ აქ პირველ ადგილზე დგას სასამართლოს მიერ მატერიალური ქეშმარიტების დადგენის ვალდებულება.⁴⁹

გერმანული სამართალი საკითხის გადწყვეტისას იყენებს ე.წ. ჰიპოთეტური დაშვების დოქტრინას, რომლის თანახმადაც პასუხი უნდა გაცეს კითხვას: მტკიცებულებები ამ პირველადი კანონდარღვევით მიღებული მტკიცებულების გარეშე იქნებოდა თუ არა მოპოვებული.⁵⁰

მტკიცებულებათა გამორიცხვის შემდგომი გავლენის პრობლემა საკამათოდ რჩება სისხლის სამართლის პროცესში. პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს საკითხის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური შეფასება.⁵¹ ეს ე.წ. ანონ-დანონვის პრინციპი⁵² ეფუძნება როგორც უფლებათა შეზღუდვის ინტენსივობის შეფასებას, კანონდარღვევის სიმძიმეს, ხასიათს და ხარისხს, ისე კანონდარღვევით მოპოვებულ პირველად მტკიცებულებებსა და მის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს შორის მიზეზობრივ კავშირს.⁵³ ამ კრიტერიუმების გამოყენების საფუძველზე კი

ლი ხის“) საფუძველზე მოპოვებული ახალი მტკიცებულებებიც („მონამლული ხის ნაყოფი“), კერძოდ, თავდაპირველ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობამ შემდგომ უნდა იქონიოს თუ არა გავლენა და განაპირობოს თუ არა დაუშვებელ მტკიცებულებათა საფუძველზე მოპოვებული ახალი, შუალობითი მტკიცებულებების გამორიცხვა სისხლის სამართლის საქმიდან.

⁴⁴ *Ambos, Kai, Beweisverwertungsprobleme*, 2010, S. 128 ff.; *Roxin, Claus/Schünemann, Bernd, Strafverfahrensrecht*, 26. Aufl., 2009, § 24, Rn. 60; *თუმანიშვილი, გიორგი*, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), 2014, გვ. 299 და მომდევნო გვერდები.

⁴⁵ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ა.შ.შ., ისე გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ საკითხის შეფასებისას უნდა მოხდეს დიფერენცირება კანონდარღვევებს შორის, რათა უბრალო „ტექნიკურმა“ გადაცდომებმა არ გამოიწვიოს მტკიცებულებათა გამორიცხვა სისხლის სამართლის საქმიდან, იხ. *Ambos, Kai, Beweisverwertungsprobleme*, 2010, S. 144.

⁴⁶ *Ambos, Kai, Beweisverwertungsprobleme*, 2010, S. 151.

⁴⁷ BGH 27, 355, 358; BGHSt 32, 68, 71; BGHSt 35, 32, 34; აგრეთვე, BVerfG NStZ 2006, 46; *Ambos, Kai, Beweisverwertungsprobleme*, 2010, S. 147.

⁴⁸ ამასთანავე, საინტერესოა, *Ambos, Kai, Beweisverwertungsprobleme*, 2010, S. 147, 150.

⁴⁹ BGH 27, 355, 358; BGHSt 32, 68, 71; BGHSt 35, 32, 34. აგრეთვე, გასათვალისწინებელია პროცესის ეფექტიანობა, იხ. *Ambos, Kai, Beweisverwertungsprobleme*, 2010, S. 147; *Roxin, Claus/Schünemann, Bernd, Strafverfahrensrecht*, 26. Aufl., 2009, § 24, Rn. 60.

⁵⁰ *Ambos, Kai, Beweisverwertungsprobleme*, 2010, S. 149; *Roxin, Claus, Schünemann/Bernd, Strafverfahrensrecht*, 26. Aufl., 2009, § 24, Rn. 26; *Heger, Martin/Polreich, Erol, Strafprozessrecht*, 2. Aufl., 2018, Rn. 395. ამასთანავე, საინტერესოა მტკიცებულებათა გარდაუვლად აღმოჩენის გამოწვევის, იხ. *თუმანიშვილი, გიორგი*, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), 2014, გვ. 305 და მომდევნო გვერდები.

⁵¹ *Jäger, Christian, Beweiserhebungs- und Beweisverwertungsverbote als prozessuale Regelungsinstrumente im Strafverfolgenden Rechtsstaat Zugleich ein Beitrag zum 67. Deutschen Juristentag*, GA 2008, 473, 494; *Rogall, Klaus, Hypotetische Ermittlungsverläufe im Strafprozess*, NStZ, 9/1988, 385, 392.

⁵² *Ambos, Kai, Beweisverwertungsprobleme*, 2010, S. 147f.; *Rogall, Klaus, „Abwägungen“ im Recht der Beweisverbote*, in Hanack- Festschrift, 1999, S. 293, 307f.

⁵³ *Ambos, Kai, Beweisverwertungsprobleme*, 2010, S. 148.

მტკიცებულებათა გამორიცხვას ძირითადად ინვესს უფლებათა დარღვევის სიმძიმე და საგამოძიებო ორგანოთა დისციპლინირების აუცილებლობა, ხოლო მტკიცებულებათა გამორიცხვის საპირისპიროდ მხედველობაში მიიღება ბრალდების სიმძიმით დასაბუთებული სისხლის სამართლებრივი დევნის ინტერესი.⁵⁴

საბოლოოდ, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების ჩატარებისთვის კანონით დადგენილი წინაპირობების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები ბრალდებულის ინტერესების წინააღმდეგ არ უნდა იქნეს გამოყენებული.⁵⁵ ბრალდებულის ინტერესების მიმართ დადებითი დამოკიდებულებით, ბრალდებულისადმი ე.წ. „კეთილგანწყობით“ ხასიათდება გერმანიაში განვითარებული „მიუღენტაიხის თეორია“, რომლის მიხედვითაც, აკრძალული მეთოდით მოპოვებული მტკიცებულება შეიძლება არ დაექვემდებაროს სისხლის სამართლის საქმიდან გამორიცხვის წესს, თუკი ის შეიცავს ბრალდებულისთვის სასარგებლო ინფორმაციას (რადგან მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას არ უნდა მოჰყვეს ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობის დამძიმება).⁵⁶ მიუღენტაიხის თეორიის თანახმად, უდანაშაულო პირის არასწორი მსჯავრდება იმის გამო, რომ საქმეზე არ იქნა დაშვებული კანონდარღვევით მოპოვებული გამამართლებელი მტკიცებულება, იქნებოდა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის არსებითი დარღვევა.⁵⁷

IV. დასკვნა

მტკიცებულებათა დასაშვებობის ზოგადი წესები სსსკ-ის მე-10 თავში (რომელიც მტკიცებულებებს ეძღვნება) ამომწურავად არ არის ჩამოყალიბებული. მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძვლები სპეციალურ ნორმებშიც არის წარმოდგენილი, მათ შორის, ფარული საგამოძიებო მოქ-

მედებების შედეგად მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით (სსსკ-ის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სსსკ-ის 143³ მუხლის მე-9 ნაწილი).

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის ძირითადი პრობლემური ასპექტების განხილვის შემდეგ უნდა მოხდეს შეჯერება, რომ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების პროცესში მტკიცებულებათა მოპოვებისას დაშვებული ნებისმიერი შეცდომა გარდაუვლად არ უნდა ინვესტდეს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას. სისხლის საპროცესო სამართალში განვითარებული თანამედროვე მიდგომებიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა მტკიცების პროცესის მკაცრი ფორმალიზებიდან გამონაკლისების დაშვება. უფრო ქმედითი და რაციონალური უნდა იყოს ყოველი კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური შეფასება. თუმცა, სისხლის სამართლის საქმიდან მტკიცებულებათა გამორიცხვა აუცილებელი უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ორგანო საპროცესო სამართალში დადგენილ კანონის მოთხოვნებს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში შეგნებულად უგულებელყოფს.⁵⁸ სხვაგვარად, სამართლებრივი სახელმწიფოს ინტერესების რეალიზება რთული წარმოსადგენი იქნება.

სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოთა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი დისციპლინირების უზრუნველყოფა სასურველია, რომ მოხდეს არა დანეყბული სისხლის სამართლებრივი დევნის უპირობო შეფერხებით, არამედ პროცესში დაშვებული უხეში საპროცესო სამართლებრივი დარღვევის დასჯით. დასჯის მნიშვნელოვან წინაპირობას კი ამ შემთხვევაში ქმნის სსსკ-ის 72-ე მუხლის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება დაუშვებელ მტკიცებულებად არის ცნობილი, თანაც იმ პირობით – თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას.

⁵⁴ Ambos, Kai, Beweisverwertungsprobleme, 2010, S. 152.

⁵⁵ ამ მიდგომას იზიარებს გერმანიის ფედერალური სასამართლო, იხ. BGHSt 31, 304; BGHSt 41, 30, 31. აგრეთვე, იხ. Roxin, Claus/Schünemann, Bernd, Strafverfahrensrecht, 26. Aufl., 2009, § 24, Rn. 28.

⁵⁶ Roxin, Claus/Schäfer, Gerhard/Widmaier, Gunter, Mühlenteichtheorie, StV, 11/2006, 655, 656, 660.

⁵⁷ Roxin, Claus/Schäfer, Gerhard/Widmaier, Gunter, Mühlenteichtheorie, StV, 11/2006, 655, 656.

⁵⁸ Heger, Martin/Polreich, Erol, Strafprozessrecht, 2. Aufl., 2018, Rn. 395.

ბრალდებულის კონფრონტაციის უფლება და მისი დარღვევის შედეგები სისხლის სამართლის პროცესში*

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს¹ 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ (N9154/10)*²

მეცნიერ-თანამშრომელი *კიმ სესილ ფალკე*^{**}, თიუბინგენის უნივერსიტეტი

I. ფაქტობრივი გარემოებები

გერმანიაში, გოტინგენის რეგიონულმა სასამართლომ (Landgericht Göttingen) საქართველოს მოქალაქე ჭაჭაშვილს – ერთობლივად, დამამძიმებელ გარემოებებში ორგზის ჩადენილი ყაჩაღობისა და ყაჩაღური გამოძალვის ერთობლიობის საფუძველზე – სასჯელის სახით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ცხრა წლითა და ექვსი თვის ვადით. მეორე დანაშაულთან მიმართებით, მსჯავრდება არსებითად დაეფუძნა მდებარეობითი სქესის ორი დაზარალების ჩვენებას, რომლებიც იყვნენ ლატვიის მოქალაქეები და მხოლოდ დროებით ცხოვრობდნენ გერმანიაში. თავდაპირველად, გამოძიების ეტაპზე, პოლიციამ ისინი არაერთგზის დაკითხა მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით. სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისათვის ცნობილი გახდა, რომ ორივე დაზარალებულს მოკლე დროში ლატვიაში დაბრუნება ჰქონდა განზრახული. მონშემთა ჩვენების საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოყენების უზრუნველსაყოფად, დაზარალებულები გამოძიების ეტაპზე კიდევ ერთხელ დაიკითხნენ, ამჯერად – გამოძიების მოსამართლის მიერ.³ ბრალდებული და შემდგომში სტრასბურგის

სასამართლოში განმცხადებელი, რომელმაც იმ პერიოდში მის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების შესახებ არაფერი იცოდა, არ იყო დაზარალებულთა დაკითხვის შესახებ ინფორმირებული. ამასთან, მისთვის არ დაუნიშნავთ ადვოკატი, რომელიც დაკითხვას დაესწრებოდა. აღნიშნული გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო იმ საშიშროებით, რომ დაზარალებულები, რომლებიც შეშინებული და ძლიერ შოკირებული იყვნენ, ბრალდებულის ყოფნის შემთხვევაში არ განაცხადებდნენ სიმართლეს, ხოლო ადვოკატის გამოძახების შემთხვევაში, მტკიცებულებათა შეგროვების პროცესი იმგვარად შეყოვნდებოდა, რომ ის ვეღარ იქნებოდა განხორციელებადი და გამოძიების შედეგები საფრთხის ქვეშ დადებოდა.

მოგვიანებით, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, გოტინგენის რეგიონულმა სასამართლომ არაერთხელ სცადა, დაზარალებულები, რომლებიც იმ დროისათვის კვლავ ლატვიაში ცხოვრობდნენ, მონშემებად გამოეძახა და არსებით სხდომაზე დაეკითხა. თუმცა მათთვის გაგზავნილი როგორც ყველა პირდაპირი შეტყობინება, ასევე, ლატვიისათვის, სხვადასხვა შეთავაზების გზით, სამართლებრივი დახმარების თხოვნა უშედეგოდ დასრულდა. სასამართლომ განმეორებით არაერთხელ სცადა, მონშემები გერმანიაში ჩამოეყვანა, რათა მათი დაკითხვა უშუალოდ სასამართლოს წინაშე მომხდარიყო და სთხოვა ლატვიის სახელმწიფო ორგანოებს, უზრუნველყვით მონშემთა აუდიო-ვიზუალური დაკითხვა ლატვიური სასამართლოს წინაშე. მიუხედავად ამისა, ლატვიის სახელმწიფო ორგანოების მხრიდან თანამშრომლობის მზაობის არარსებობისა და მონშემთა მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობების

* სტატია გერმანულიდან თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა, თამარ შავგულიძემ.

¹ შემდგომში შემოკლებულია, როგორც სტრასბურგის სასამართლო.

² ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159566> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021); ასევე, StV (Strafverteidiger) 2017, 213.

^{**} ავტორი არის თიუბინგენის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და საავტორო სამართლის მიმართულების მეცნიერ-თანამშრომელი.

³ ამის საფუძველს ქმნის ის, რომ გერმანული სამართლის მიხედვით, გამოძიების ეტაპზე მოსამართლის წინაშე მიცემული ჩვენებები უფრო ფართო მასშტაბით შეიძლება

იქნას სასამართლოს არსებით სხდომაზე გათვალისწინებული, ვიდრე მონშემის საპოლიციო დაკითხვის შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით იხ. II თავი.

საფუძველზე, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ მათ, პოსტრავმული ემოციური და ფიზიკური არასტაბილურობის გამო, არ შეეძლოთ ჩვენების მიცემა, ამ ძალისხმევამ შედეგი ვერ გამოიღო. ამდენად, სასამართლოსთვის მოწმეები მიუწვდომელი დარჩნენ. ამ საფუძველზე, მოწმეთა მიერ გამოძიების ეტაპზე გამოძიების მოსამართლის წინაშე მიცემული ჩვენება საჯაროდ იქნა წაკითხული საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. ბრალდებულს არ მისცემია შესაძლებლობა, ორივე დაზარალებული თავად დაეკითხა და მათი ჩვენების უტყუარობა გადაემოწმებინა. ამის საპირისპიროდ, მსჯავრდება არსებითად დაეფუძნა მოწმეთა დაკითხვის დასახელებულ ოქმსა და ორივე დაზარალებული ქალის მეგობრისა და მეზობლის ჩვენებებს, რომელთაც დაზარალებულთა მიერ უშუალოდ ეცნობათ მომხდარი დანაშაულის შესახებ. დაზარალებულთა ადრინდელი დაკითხვის თაობაზე მოუსმინეს გამოძიებულ პოლიციელებსაც. ამას გარდა, მტკიცებულებად გამოყენებულ იქნა ბრალდებულის მობილური ტელეფონის GPS-ადგილმდებარეობა და მისი აღიარება, რომ დანაშაულის ჩადენის დროს დაზარალებულთა ბინაში იმყოფებოდა. დაბოლოს, სასამართლოს გადანყვეტილება დაეფუძნა დანაშაულის ჩადენის დროს ბრალდებულსა და სხვა დანაშაულებს შორის შემდგარი ორი სატელეფონო საუბრის ჩანაწერს, ასევე, დანაშაულსა და ბრალდებულის მიერ მანამდე განხორციელებულ თავდასხმას შორის ძლიერ მსგავსებას.

152-გვერდიან გადანყვეტილებაში სასამართლო დანვრილებით განიხილავს ბრალდებულის დაზარებულთან კონფრონტაციის უფლების შეზღუდვის შედეგებს. ამასთან, სასამართლო ცალსახად მიუთითებს საქმეში მოწმეთა ჩვენების შეზღუდულ მტკიცებულებით ღირებულებაზე და საკუთარ რწმენას პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით ასაბუთებს იმგვარი მტკიცებულებებით, რომლებიც ორივე ლატვიელი ქალის ჩვენების სარწმუნოებას ამყარებენ. ბრალდებულის მიერ ამ გადანყვეტილების წინააღმდეგ შეტანილი საკასაციო საჩივარი აშკარა დაუსაბუთებლობის გამო გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.⁴ ამის შემდგომ, განმცხადებლის კონსტიტუციური სარჩელი, საფუძველების დასახე-

ლების გარეშე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არ იქნა განსახილველად მიღებული.⁵ მსჯავრდებულმა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის⁶ 34-ე მუხლის შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოში 2010 წელს შეიტანა ინდივიდუალური საჩივარი, რომლის საგანიც იყო გერმანიის მიერ მისი კონფრონტაციის უფლების დარღვევა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე.

II. ბრალდებულის კონფრონტაციის უფლება

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის⁷ 168c პარაგრაფის მე-2 აბზაციით გათვალისწინებულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის უფლება, დაესწრონ გამოძიების ეტაპზე მოსამართლის მიერ მოწმეთა დაკითხვის პროცესს, მოწმეებს დაუსვან კითხვები და მათ ჩვენებებთან დაკავშირებით განმარტება გააკეთონ. ბრალდებულთან მიმართებით, ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც, გსსსკ-ის 168c პარაგრაფის მესამე აბზაციის თანახმად, მისი დასწრება გამოძიების მიზნებს საფრთხეს შეუქმნიდა, განსაკუთრებით, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ მოწმე ბრალდებულის იქ ყოფნის შემთხვევაში სიმართლეს არ იტყვის.⁸ ამის საპირისპიროდ, ამ პროცესში ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.⁹ თუ ბრალდებულს არ ჰყავს უფლებადამცველი, ასეთ შემთხვევაში, მას უნდა დაენიშნოს ადვოკატი, რომელიც დაკითხვისას ბრალდებულის უფლებების რეალიზაციას შეძლებს.¹⁰ აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც ადვოკატის მონაწილე-

⁵ BVerfG Beschluss vom 08.10.2009, Az.: 2 BvR 78/09.

⁶ შემდგომში შემოკლებულია, როგორც კონვენცია.

⁷ შემდგომში შემოკლებულია, როგორც გსსსკ.

⁸ ამის შესახებ იხ. *Griesbaum, Rainer*, in: *Karlsruher Kommentar, StPO*, 8. Aufl., 2019, § 168c Rn. 6; *Kölbel, Ralf*, in: *Münchener Kommentar, StPO*, 1. Aufl., 2014 ff., § 168c Rn. 10.

⁹ BGHSt 29, 1, 5; *Kölbel, Ralf*, in: *Münchener Kommentar, StPO*, 1. Aufl., 2014 ff., § 168c Rn. 22.

¹⁰ BGH NSTZ-RR (Rechtsprechungsreport der Neuen Zeitschrift für Strafrecht) 2008, 49; *Griesbaum, Rainer*, in: *Karlsruher Kommentar, StPO*, 8. Aufl., 2019, § 168c Rn. 6a.

⁴ BGH Beschluss vom 30.10.2008, Az.: 5 StR 426/08; BeckRS (Beck-Rechtssprechung) 2008, 24053.

ობამ, თავის მხრივ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გამოძიების შედეგებს.¹¹ ამისგან დამოუკიდებლად დადგენილი, გსსსკ-ის 168c პარაგრაფის მე-5 აბზაციით გათვალისწინებული ვალდებულება, რომლის მიხედვითაც, დასწრებაზე უფლებამოსილ პირს დაკითხვის თაობაზე წინასწარ უნდა ეცნობოს, შეიძლება მსგავსად შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, როდესაც ამან შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გამოძიების შედეგებს, კერძოდ, როცა ჩვენების მოპოვება სხვაგვარად კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს.¹² ეს, მათ შორის, შესაძლოა, ისეთი შემთხვევა იყოს, როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ დასწრებაზე უფლებამოსილი პირი განახორციელებს ზემოქმედებითი ხასიათის ქმედებებს (*Verdunklungshandlungen*); ან როდესაც დაკითხვა, მაგალითად, მოწმის საცხოვრებელი ადგილის გარდაუვალი ცვლილების გამო, ვერ გადაიდება, ხოლო უფლებამოსილი პირისთვის შეტყობინება პროცესის შეყოვნებას გამოიწვევს, რასაც შედეგად შესაძლოა ჩვენების დაკარგვა მოჰყვეს.¹³

გსსსკ-ის 250-ე პარაგრაფის შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მოქმედებს უშუალოდ პრინციპი. აღნიშნული ადგენს, რომ მოწმეები (და ექსპერტები) საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ უნდა დაკითხონ და მათი დაკითხვა არ შეიძლება, პროცესზე დოკუმენტის წაკითხვით ჩანაცვლდეს. მტკიცებულების სანდოობის გამყარების მიზნით, სასამართლომ პერსონალური შთაბეჭდილება უნდა შეიქმნას მოწმეზე.¹⁴ ამდენად, როგორც წესი, გამოძიების ეტაპზე ჩატარებული დაკითხვის ოქმების წაკითხვაც დაუშვებელია. აღნიშნული პრინციპიდან გამონაკლისს, მათ შორის,

გსსსკ-ის 251-ე პარაგრაფი ითვალისწინებს. ამ ნორმის თანახმად, მოწმეთა ჩვენება (ასევე ექსპერტისა და ამავე საქმეში სხვა ბრალდებულის ჩვენებები) გამოძიების ეტაპზე მათი დაკითხვის ოქმის, როგორც წერილობითი მტკიცებულების, საჯაროდ წაკითხვით შეიძლება ჩანაცვლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დასახელებულ ნორმაში არსებული ამომწურავი ჩამონათვალიდან ერთ-ერთი საფუძველი. საგამონაკლისო ნორმის დისპოზიცია ორ საფეხურადაა აგებული: პირველ აბზაცში დასახელებული წინაპირობები მოქმედებს როგორც არასასამართლო, ისე სასამართლო დაკითხვის ოქმისათვის, ხოლო მეორე აბზაციით გათვალისწინებული წინაპირობები მხოლოდ სასამართლო დაკითხვის ოქმებზე ვრცელდება.¹⁵ აღნიშნული საგამონაკლისო ნორმის მიზანია, ერთი მხრივ, მტკიცებულება ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე არ დაიკარგოს,¹⁶ და, მეორე მხრივ, პროცესი, თუნდაც ვინრო ფარგლებში, გამარტივდეს და დაჩქარდეს.¹⁷ გსსსკ-ის 251-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-3 პუნქტის თანახმად, ასეთი გამონაკლისი სახეზეა, როდესაც მოწმე გარდაიცვალა ან სხვა საფუძვლის გამო, განჭვრეტად ვადაში მისი დაკითხვა სასამართლოს წინაშე ვერ მოხერხდება. ამასთან, გსსსკ-ის 251-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის პირველი პუნქტის მიხედვით, სასამართლოს წინაშე ჩატარებული დაკითხვის ოქმის წაკითხვა დასაშვებია, თუ მოწმის გამოცხადება საქმის არსებით სხდომაზე ვერ ხდება მისი ხანგრძლივი ან განუსაზღვრელი დროით ავადმყოფობის, უძღურების ან სხვა დაუძღვეველი დაბრკოლების გამო.

¹¹ BGHSt 46, 96 Rn. 58 f., 62.

¹² BGHSt 29, 1; 46, 96; *Monka, Christian*, in: Beck'scher Online-Kommentar, StPO, 41. Edition Stand 01.10.2021, § 168c Rn. 6; *Griesbaum, Rainer*, in: Karlsruher Kommentar, StPO, 8. Aufl., 2019, § 168c Rn. 17; *Kölbel, Ralf*, in: Münchener Kommentar, StPO, 1. Aufl., 2014 ff., § 168c Rn. 20 f.

¹³ *Griesbaum, Rainer*, in: Karlsruher Kommentar, StPO, 8. Aufl., 2019, § 168c Rn. 17 ff. დამატებითი მითითებებით; *Erb, Volker*, in: Löwe, Ewald/Rosenberg, Werner, StPO, 26. Aufl., 2006 ff., § 168c Rn. 44 f.; *Schmitt, Bertram*, in: Meyer-Goßner, Lutz/Schmitt, Bertram, StPO, 64. Aufl., 2021, § 168c Rn. 5a; *Kölbel, Ralf*, in: Münchener Kommentar, StPO, 1. Aufl., 2014 ff., § 168c Rn. 19 ff.

¹⁴ *Diemer, Herbert*, in: Karlsruher Kommentar, StPO, 8. Aufl., 2019, § 250 Rn. 1; *Kreicker, Helmut*, in: Münchener Kommentar, StPO, 1. Aufl., 2014 ff., § 168c Rn. 2.

¹⁵ სასამართლო დაკითხვის პრივილეგირების საფუძველს მისთვის გაზრდილი მნიშვნელობის მინიჭება წარმოადგენს. სასამართლოს როლიდან გამომდინარე, ეს აღქმადია დაკითხული პირისთვის და შეესაბამება კანონმდებლის ნებას, შდრ. გსსსკ-ის 251-ე, 254-ე პარაგრაფები და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე და მომდევნო პარაგრაფები; ამისათვის იხ. BGH NJW (Neue Juristische Wochenschrift) 2013, 1496; *Schmitt, Bertram*, in: Meyer-Goßner, Lutz/Schmitt, Bertram, StPO, 64. Aufl., 2021, § 252 Rn. 14.

¹⁶ შესაძლოა, მოწმე სხვადასხვა საფუძვლის გამო არ დაკითხოს, მაგალითად: მოწმის გარდაცვალება, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების გამოყენება ან შენიღბული აგენტის (გამომძიებლის) ვინაობის დაფარვა.

¹⁷ BVerfGE 57, 250, 278; BGHSt 10, 186, 189; *Kreicker, Helmut*, in: Münchener Kommentar, StPO, 1. Aufl., 2014 ff., § 251 Rn. 2.

გსსსკ-ის როგორც 168-ე, ისე 250-ე პარაგრაფი ემსახურება (მათ შორის) მსჯავრდებულის კონფრონტაციის უფლების უზრუნველყოფას.¹⁸ ამგვარად, მათი შინაარსი საპირისპიროა ზემოაღნიშნული საგამონაკლისო ნორმების დისპოზიციასთან. ბრალდებულის კონფრონტაციის უფლება განსაზღვრულია კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით. კონვენციას, როგორც საერთაშორისოსამართლებრივ ხელშეკრულებას, გერმანიაში ჩვეულებრივი ფედერალური კანონის რანგი აქვს¹⁹ და ამდენად, ნორმატიული აქტების იმავე იერარქიულ საფეხურზეა, რომელზეც გსსსკ. მიუხედავად ამისა, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო და გერმანიის ფედერალური სასამართლო მოითხოვენ გერმანული სისხლის სამართლის პროცესის კონვენციასთან შესაბამის განმარტებას. მაშასადამე, კონვენციის დებულებები ერთგვარად ფაქტობრივი უპირატესობით სარგებლობენ.²⁰ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ყოველ ბრალდებულს, სულ მცირე, აქვს უფლება, „თვითონ დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მონმეები (...)“, რათა პროცესზე უზრუნველყოფილი იყოს მხარეთა თანასწორობა (ე.წ. *Waffengleichheit*).²¹ შეჯიბრებით პროცესში ბრალდებულს, სულ მცირე, ერთხელ მაინც უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მონმეთა ჩვენებებს დაუპირისპირ-

დეს, რათა მათი სანდოობის ეჭვქვეშ დაყენება და შეცდომებისა თუ სიცრუის გამოვლენა შეეძლოს.²² სტრასბურგის სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, კონფრონტაციის უფლება, ისევე როგორც კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში დასახელებული სხვა უფლებები, წარმოადგენს მინიმალურ სტანდარტს და კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საქმის სამართლიანი განხილვის (*Fair Trial*) პრინციპის კონკრეტულ გამოხატულებას.²³ საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპი შედგება მრავალი სხვადასხვა გარანტიისგან და მისი ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კანონიერი და მიუკერძოებელი პროცესის ფარგლებში, პირს უნდა შეეძლოს, გამოვიდეს, როგორც უფლებებით აღჭურვილი სუბიექტი და მიეცეს პროცესში ეფექტური მონაწილეობის უფლება.²⁴ ამასთან, სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, სისხლის სამართლის პროცესი მოიცავს არა მხოლოდ საქმის არსებითი განხილვის ეტაპს, არამედ წინარე გამოძიების ეტაპსაც და შესაბამისად, სრულად სისხლის სამართალწარმოებას.²⁵ სამართლიანობის შეფასება ემყარება ყოველისმომცველ საერთო სურათს, რომელიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეფექტიანობას, ბრალდებულის უფლებებსა და მსხვერპლის დაცვის ასპექტებს აერთიანებს.²⁶ აქედან გამომდინარე,

¹⁸ BVerfGE 57, 250, 278; *Ganter, Alexander*, in: Beck'scher Online-Kommentar, StPO, 41. Edition Stand 01.10.2021, § 250 Rn. 1; *Griesbaum, Rainer*, in: Karlsruher Kommentar, StPO, 8. Aufl., 2019, § 168c Rn. 1; *Kölbl, Ralf*, in: Münchener Kommentar, StPO, 1. Aufl., 2014 ff., § 168c Rn. 2; *Kreischer, Helmut*, in: Münchener Kommentar, StPO, 1. Aufl., 2014 ff., § 250 Rn. 2.

¹⁹ ტრანსფორმაციის კანონის მეშვეობით მისი იმპლემენტაციის გზით, შდრ. გერმანიის ძირითადი კანონის (*Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland*) 59-ე მუხლის მე-2 აბზაცი; *Beulke, Werner/Swoboda, Sabine*, *Strafprozessrecht*, 15. Aufl., 2020, Rn. 14; *Kindhäuser, Urs/Schumann, Kay*, *Strafprozessrecht*, 6. Aufl., 2021, § 35 Rn. 3.

²⁰ BVerfGE 111, 307, 317, 323; BGHSt 46, 93, 97; *Beulke, Werner/Swoboda, Sabine*, *Strafprozessrecht*, 15. Aufl., 2020, Rn. 14; *Roxin, Claus/Schünemann, Bernd*, *Strafprozessrecht*, 29. Aufl., 2017, § 3 Rn. 16.

²¹ *Esser, Robert*, in: *Löwe, Ewald/Rosenberg, Werner*, StPO, 26. Aufl., 2006 ff., Art. 6 EMRK Rn. 760; *Paeffgen, Hans-Ullrich*, in: *Systematischer Kommentar, StPO*, 5. Aufl., 2015 ff., Art. 6 EMRK Rn. 154; *Satzger, Helmut*, in: *Satzger, Helmut/Schluckebier, Wilhelm/Widmaier, Gunter*, StPO, 4. Aufl., 2020, Art. 6 EMRK Rn. 35, 59.

²² EGMR EuGRZ (*Europäische Grundrechte-Zeitschrift*) 1992, 300, 301 f.; EGMR StV 1997, 617, 619; *Gaede, Karsten*, in: *Münchener Kommentar, StPO*, 1. Aufl., 2014 ff., Art. 6 EMRK Rn. 242; *Lohse, Kai/Jakobs, Sebastian*, in: *Karlsruher Kommentar, StPO*, 8. Aufl., 2019, Art. 6 EMRK Rn. 95; *Satzger, Helmut*, *Internationales und Europäisches Strafrecht*, 9. Aufl., 2020, § 11 Rn. 85.

²³ *Esser, Robert/Gaede, Karsten/Tsambikakis, Michael*, NStZ (*Neue Zeitschrift für Strafrecht*) 2011, 140, 148; *Lohse, Kai/Jakobs, Sebastian*, in: *Karlsruher Kommentar, StPO*, 8. Aufl., 2019, Art. 6 EMRK Rn. 80; *Gaede, Karsten*, in: *Münchener Kommentar, StPO*, 1. Aufl., 2014 ff., Art. 6 EMRK Rn. 140; *Satzger, Helmut*, *Internationales und Europäisches Strafrecht*, 9. Aufl., 2020, § 11 Rn. 79.

²⁴ *Valerius, Brian*, in: Beck'scher Online-Kommentar, StPO, 41. Edition Stand 01.10.2021, Art. 6 EMRK Rn. 9 ff.; *Grabewarter, Christoph/Pabel, Katharina*, *Europäische Menschenrechtskonvention*, 7. Aufl., 2021, § 24 Rn. 66 f.; *Gaede, Karsten*, in: *Münchener Kommentar, StPO*, 1. Aufl., 2014 ff., Art. 6 EMRK, Rn. 97 ff.

²⁵ ამის შესახებ დანვრილებით იხ. *Satzger, Helmut*, *Internationales und Europäisches Strafrecht*, 9. Aufl., 2020, § 11 Rn. 69 f.

²⁶ *Satzger, Helmut*, *Internationales und Europäisches Strafrecht*

კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 აბზაცში დადგენილი მინიმალური სტანდარტების დაუცველობისას, ხდება ერთიან სისხლის სამართალწარმოებაზე დაკვირვება, რათა ამ ფარგლებში შემოწმდეს, არის თუ არა მთლიანი წარმოება კვლავ სამართლიანად შეფასებადი.²⁷ ამგვარი შემოწმება, ჯერ კიდევ აქ წარმოდგენილ შემთხვევამდე, სტრასბურგის სასამართლოს მიერ განვითარებული სამსაფეხურიანი ტესტის მეშვეობით ხდებოდა.²⁸ პირველ ეტაპზე ხდებოდა იმის გამოკვლევა, არსებობდა თუ არა მონმეთა დაუსწრებლობის საფუძვლიანი მიზეზი. მეორე საფეხურზე მონმდებოდა კონფრონტაციის შესაძლებლობის არარსებობის დასაბალანსებლად კომპენსირების საკმარისი საშუალება, ხოლო ბოლო საფეხურზე მოითხოვებოდა განმხილველი სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებათა უკიდურესად ფრთხილი და გულმოდგინე შეფასების დადასტურება.²⁹

გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევას, სტრასბურგის სასამართლოს აქ წარმოდგენილ გადაწყვეტილებამდე, შედეგად მოსდევდა ის,³⁰ რომ მონმეთა ჩვენებები შეიძლებოდა გამოყენებულიყო, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: დარღვევის სა-

კომპენსაციოდ მტკიცებულებათა გამოკვლევა ხდებოდა განსაკუთრებულად ფრთხილი შეფასების მეშვეობით და ჩვენებები, საქმეში არსებული მტკიცებულებების ფარგლებში, სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებით იქნებოდა გამყარებული ისე, რომ სასამართლოს მათზე არსებითად დაყრდნობა შეძლებოდა (ე.წ. *Beweiswürdigungslösung*).³¹ აღნიშნულ მასშტაბებს გერმანიის ფედერალური სასამართლო სამართალწარმოებაში ინარჩუნებდა, თუმცა ეს მიდგომა სტრასბურგის სასამართლოს წარმოდგენილი გადაწყვეტილების შემდეგ შეიცვალა.

III. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების მთავარი არსი

სტრასბურგის სასამართლოს წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში საკითხავი იყო, თუ რა გავლენა მოახდინა საქმის სამართლიან განხილვაზე იმ გარემოებამ, რომ ბრალდებულს საქმის წარმოების განმავლობაში არ მიეცა შესაძლებლობა, ბრალდების ორივე მთავარი მონმე დაეკითხა და მათ შეპირისპირებოდა. მას შემდეგ, რაც თავდაპირველად, სტრასბურგის სასამართლოს უფლებამოსილმა პალატამ კონვენციის დარღვევა არ დაადგინა, განცხადებელმა მოითხოვა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა, რომელმაც თავის 2015 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ხმათა უმრავლესობით, 9 ხმით 8-ის წინააღმდეგ,³² დაადგინა საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევა ბრალდებულის კონფრონტაციის უფლებასთან მიმართებით.³³

ამ დასკვნამდე სტრასბურგის სასამართლო მივიდა უკვე დასახელებული სამსაფეხურიანი შემოწმების გზით, რომელიც სასამართლომ არსებითად შეცვალა და მასში ახალი ასპექტები შე-

recht, 9. Aufl., 2020, § 11 Rn. 79; *Stoffers, Kristian F.*, NJW 2013, 1495, 1496.

²⁷ *Beulke, Werner/Swoboda, Sabine*, Strafprozessrecht, 15. Aufl., 2020, Rn.16; *Satzger, Helmut*, Internationales und Europäisches Strafrecht, 9. Aufl., 2020, § 11 Rn. 79; *Satzger, Helmut*, in: *Satzger, Helmut/Schluckebier, Wilhelm/Widmaier, Gunter*, StPO, 4. Aufl., 2020, Art. 6 EMRK Rn. 36; *Stoffers, Kristian F.*, NJW 2013, 1495, 1496.

²⁸ შდრ. განსაკუთრებით, *EGMR Al-Khawaja und Tahery v. Vereinigtes Königreich*, HRRS (Höchststrichterliche Rechtsprechung im Strafrecht) 2009, Nr. 459; *EGMR Haas v. Deutschland*, NStZ 2007, 103.

²⁹ *დორსონი ნიდერლანდების წინააღმდეგ* (N20524/92), 73-ე და 76-ე პარაგრაფები, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57972> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021); *Satzger, Helmut*, JURA (Juristische Ausbildung) 2016, 1083; *Satzger, Helmut*, Internationales und Europäisches Strafrecht, 9. Aufl., 2020, § 11 Rn. 87 f.; *Schramm, Edward*, HRRS 2011, 156 ff.

³⁰ აქ განზრახ არის გამოტოვებული გერმანიაში არსებული სადავო საკითხი, უნდა იქნას თუ არა მსგავსი მტკიცებულების გამოყენების წინააღმდეგ არსებითი განხილვის სხდომაზე საჩივარი შეტანილი; შდრ. ამ საკითხზე შესავლისთვის: *Beulke, Werner/Swoboda, Sabine*, Strafprozessrecht, 15. Aufl., 2020, Rn. 708.

³¹ BVerfG NJW 2010, 925, 926; BGHSt 55, 70, 55; BGH StraFo (Strafverteidiger Forum) 2013, 209; *Beulke, Werner/Swoboda, Sabine*, Strafprozessrecht, 15. Aufl., 2020, § 190; *Lohse, Kai/Jakobs, Sebastian*, in: *Karlsruher Kommentar, StPO*, 8. Aufl., 2019, Art. 6 EMRK Rn. 111.

³² მონაწილე მოსამართლეების მიერ ჩამოყალიბდა სამი განსხვავებული აზრი, შდრ. ამ საკითხზე შეჯამება: *EGMR StV* 2017, 213, 225 ff.

³³ სტრასბურგის სასამართლოში სამართალწარმოების მიმდინარეობის შესახებ: *Meyer-Mews, Hans*, NJW 2018, 213.

მოიტანა.³⁴ „ახალი“ სამსაფეხურიანი შემონმების თანახმად, საქმის განხილველმა სასამართლომ ამიერიდან უნდა შეამონმოს, სახეზე იყო თუ არა (1) საფუძვლიანი მიზეზი, რომელიც მოწმის გამოუცხადებლობას გაამართლებდა, (2) მოწმის ჩვენება იყო თუ არა ერთადერთი ან მსჯავრდებისთვის გადამწყვეტი საფუძველი, და (3) არსებობდა თუ არა დამაბალანსებელი ფაქტორები, რომლებიც საკმარისი იქნებოდა მთლიანობაში საქმის სამართლიანი განხილვის უზრუნველსაყოფად. ამდენად, სამსაფეხურიანი შემონმების ცვლილება უპირველესად იმაში გამოიხატა, რომ სტრასბურგის სასამართლომ მეორე საფეხურზე შემონმების ახალი საფუძველი შემოიტანა და ყოფილი მეორე პუნქტი შემონმების ბოლო პუნქტად განსაზღვრა. ამასთან, სასამართლომ დააზუსტა თითოეული საფეხურის სტანდარტები და ხაზი გაუსვა მესამე საფეხურს, როგორც გადამწყვეტ, მთავარ კომპონენტს.³⁵ ამასთანავე, მნიშვნელოვანი სიახლე იყო სტრასბურგის სასამართლოს განმარტება, რომ პირველი საფეხურის უარყოფის ან მეორე საფეხურის დადასტურების შემთხვევაშიც კი, სხვა საფეხურები მაინც უნდა შემონმებულიყო, რადგან ისინი ურთიერთდამოკიდებული არიან და შესაძლოა, იმგვარად დააბალანსონ ერთმანეთი, რომ მთლიანობაში პროცესის სამართლიანობა გარანტირებული იყოს.³⁶ ამასთან, პირველი და მეორე საფეხურის შემონმების შედეგები შესაძლოა, გადამწყვეტი საფუძველი იყოს იმის დასადგენად, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი უნდა იყოს დამაბალანსებელი ფაქტორები მესამე საფეხურზე. რაც უფრო მნიშვნელოვანია ჩვენება სასამართლოს გადამწყვე-

ტილებისათვის, მით უფრო მეტი დამაბალანსებელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, რათა შესაძლებელი იყოს საქმის განხილვის საერთო სურათის სამართლიანად შეფასება.³⁷

წარმოდგენილ ფაბულაში სტრასბურგის სასამართლომ მოწმეთა დაუსწრებლობა გამართლებულად მიიჩნია იმ ძალისხმევიდან გამომდინარე, რაც გოტინგენის სასამართლომ გასწია მათი არსებით სხდომაზე დაკითხვის უზრუნველსაყოფად. ამდენად, პირველ საფეხურზე, რომელიც, როგორც ნესი, მკაცრი შემონმების მასშტაბს ექვემდებარება³⁸, დადასტურდა. მეორე საფეხურის შეფასებისას, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მოწმეთა ჩვენების გადამწყვეტი ხასიათი დამოკიდებულია ჩვენების მნიშვნელობასა და წონაზე და იმაზე, თუ რამდენად განმსაზღვრელი შეიძლება იყოს ის სასამართლოს საბოლოო გადამწყვეტილებისათვის. მოცემულ შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლომ ასევე დაადასტურა მეორე საფეხურის არსებობასაც, რადგან მხოლოდ ამ ორი დაზარებულის ჩვენებას შეეძლო უშუალოდ დაედასტურებინა დანაშაული. მესამე საფეხურთან დაკავშირებით, საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორების შეფასებისას, სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა ეჩვენებინა, რომ მას გაცნობიერებული აქვს ისეთი მოწმეთა ჩვენებების ნაკლები მტკიცებულებითი ღირებულება, რომლებთანაც კონფრონტაცია არ მომხდარა და რომ მან მათი ჩვენებების უტყუარობა განსაკუთრებული გულმოდგინებით შეამონმა. აქვე, სტრასბურგის სასამართლომ დაასახელა ფაქტორები, რომელთაც კონფრონტაციის უფლების დარღვევის დაბალანსება შეუძლიათ. მაგალითად, მოწმეთა დაკითხვის ვიდეოჩანაწერის წარმოდგენა ბრალდებულსა და მის ადვოკატს მისცემდა შესაძლებლობას, რომ მოწმეთა სანდოობა შეეფასებინათ. ასევე, სასამართლოს განმარტებით, დადებითად უნდა შეფასდეს ისეთი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელთაც მოწმეთა ჩვენების უტყუარობის გამყარება შეუძლიათ. ასეთად შესაძლოა, განსაკუთრებით, ჩაითვალოს ისეთი მოწმეები, რომელთაც დანაშაულის შესახებ

³⁴ *Satzger, Helmut*, Internationales und Europäisches Strafrecht, 9. Aufl., 2020, § 11 Rn. 85 ff. სტრასბურგის სასამართლოს ადრინდელი შემონმების შესახებ: *Esser, Robert*, in: *Löwe, Ewald/Rosenberg, Werner*, StPO, 26. Aufl., 2006 ff., Art. 6 EMRK Rn. 789 ff.; *Satzger, Helmut*, JURA 2016, 1083.

³⁵ *Dionysopoulou, Athanasia*, ZIS (Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik) 2017, 629, 636; *Lohse, Kai/Jakobs, Sebastian*, in: *Karlsruher Kommentar, StPO*, 8. Aufl., 2019, Art. 6 EMRK Rn. 98; *Satzger, Helmut*, in: *Satzger, Helmut/Schluckebier, Wilhelm/Widmaier, Gunter*, StPO, 4. Aufl., 2020, Art. 6 EMRK Rn. 68.

³⁶ *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ*, 113-ე და 116-ე პარაგრაფები, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159566> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021); *Lohse, Kai/Jakobs, Sebastian*, in: *Karlsruher Kommentar, StPO*, 8. Aufl., 2019, Art. 6 EMRK Rn. 103.

³⁷ *Esser, Robert*, Anm. zu BGH NStZ 2017, 602, 605; *Gaede, Karsten*, in: *Münchener Kommentar, StPO*, 1. Aufl., 2014 ff., Art. 6 EMRK Rn. 269.

³⁸ შდრ. *EGMR Hümmel v. Deutschland*, NJW 2013, 3225, 3227 f.; *Dionysopoulou, Athanasia*, ZIS 2017, 629.

ინფორმაცია დანაშაულის უშუალო მონმეებისგან მიიღეს (Zeugen vom Hörensagen), ისევე როგორც, ისეთი ნივთიერი მტკიცებულებები, როგორებიცაა: სასამართლო სამედიცინო მონაცემები ან მონმეთა სანდოობის შესახებ დასკვნა. გარდა ამისა, სასამართლოს შეუძლია, შესაძლებლობა მისცეს ბრალდებულს, მონმეებს არაპირდაპირი გზით დაუსვას კითხვები, მაგალითად, წერილობითი ფორმით. დაბოლოს, სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებმა ადვოკატს უნდა მისცენ მონმეთა პირდაპირი დაკითხვის შესაძლებლობა, როდესაც გამოძიების ეტაპზე უკვე არსებობს ვარაუდი, რომ არსებითი განხილვის სხდომაზე მონმის დაკითხვა შეიძლება არ გაიმართოს.³⁹ განსაკუთრებით ბოლო პუნქტის გაუთვალისწინებლობის გამო, სტრასბურგის სასამართლომ საქმის განხილვა მთლიანობაში არასამართლიანად შეაფასა: სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებმა იცოდნენ დაზარალებულთა განზრახვის თაობაზე, რომ ისინი საზღვარგარეთ აპირებდნენ გადასვლას. ამდენად, დაკითხვის პროცესში ადვოკატის მონმეებისგან თავის შეკავებისას, მათ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ბრალდებული მომავალში ვერ შეძლებდა ორ მნიშვნელოვან მონმესთან კონფრონტაციას.⁴⁰ გარდა ამისა, არ გამოყენებულა ორივე ლატვიელი ქალის წერილობითი ფორმით დაკითხვის შესაძლებლობა. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ ვერ დაინახა საკმარისი დამაბალანსებელი ღონისძიებები, რომელთაც კონფრონტაციის უფლების დარღვევის მიუხედავად, შეეძლოთ საქმის განხილვის სამართლიანობა უზრუნველყოთ და შედეგად, დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევა.⁴¹

³⁹ *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ*, 130-ე პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159566> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021).

⁴⁰ *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ*, 160-ე პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159566> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021).

⁴¹ *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ*, 162-ე და მომდევნო პარაგრაფები, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159566> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021).

IV. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი და შედეგები

კონვენციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა სასამართლო დავის მხარეებისთვის კონვენციის დარღვევასთან და ამის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილთან მიმართებით (ე.წ. *inter partes* ეფექტი).⁴² თუმცა, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ კონვენციის დარღვევის დადგენით შემოიფარგლება და მას არ შეუძლია გააუქმოს ეროვნული სასამართლოს განაჩენი. მიუხედავად ამისა, ის უფლებამოსილია, კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებულ მხარეს მიაკუთვნოს კომპენსაცია, რომელიც წევრმა სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს.⁴³ ამას გარდა, წარმოებაში მონაწილე წევრი სახელმწიფო ვალდებულია, დარღვევა აღმოფხვრას და გამოასწოროს,⁴⁴ თუმცა, რა ფორმით შესრულდება სტრასბურგის გადაწყვეტილება, ეს წევრი სახელმწიფოს გადასაწყვეტია.⁴⁵

როგორც იმ წევრი სახელმწიფოებისათვის, რომელთა წინააღმდეგაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება, ასევე სხვა არამონაწილე წევრი სახელმწიფოებისთვის, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებს მხოლოდ საორიენტაციო ეფექტი აქვთ.⁴⁶ გადაწყვეტილებას არ აქვს სამართლებრივად სავალდებულო ძალა. თუმცა, მისი დარღვევის შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოები სტრასბურგის

⁴² *Beulke, Werner/Swoboda, Sabine, Strafprozessrecht*, 15. Aufl., 2020, Rn.17; *Grabenwarter, Christoph/Pabel, Katharina, Europäische Menschenrechtskonvention*, 7. Aufl., 2021, § 16 Rn. 1 f.

⁴³ განმცხადებლის მიერ მოთხოვნაში დაშვებული ფორმალური შეცდომის საფუძველზე, წარმოდგენილ შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლომ არ იმსჯელა კომპენსაციის საკითხზე; შდრ. *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ*, 166-ე პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159566> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021).

⁴⁴ *Grabenwarter, Christoph/Pabel, Katharina, Europäische Menschenrechtskonvention*, 7. Aufl., 2021, § 16 Rn. 3 f.

⁴⁵ *პაპამიჩალოპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*, (N14556/89), 34-ე პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57961> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021); *Grabenwarter, Christoph/Pabel, Katharina, Europäische Menschenrechtskonvention*, 7. Aufl., 2021, § 16 Rn. 3.

⁴⁶ *Grabenwarter, Christoph/Pabel, Katharina, Europäische Menschenrechtskonvention*, 7. Aufl., 2021, § 16 Rn. 8.

სასამართლოს მიერ მათ წინააღმდეგ მორიგი გადაწყვეტილების მიღების რისკს სწევნ, შესაბამისად, ისინი ამ გადაწყვეტილებებს მათი არაპირდაპირი ძალის გამო ასრულებენ.⁴⁷

გერმანიაში, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა ყველა სახელმწიფო ორგანოზე ვრცელდება: სასამართლო, აღმასრულებელი ხელისუფლება და კანონმდებელი ყურადღებით უნდა მოეკიდონ გადაწყვეტილების შინაარსს და მხედველობაში მიიღონ იგი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.⁴⁸ ამის გამომხატულებაა გსსსკ-ის 359-ე პარაგრაფის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კონვენციის დარღვევას ადგენს, ეროვნულ სასამართლოში საქმის განხილვის განახლების საფუძველია, თუ ეროვნული სასამართლოს განაჩენი სწორედ ამ დარღვევას ეფუძნება. ამასთანავე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკას კონსტიტუციის ნორმების განმარტების პროცესშიც იყენებს ინტერპრეტაციის დამხმარე საშუალებად.⁴⁹

წარმოდგენილ გადაწყვეტილებასთან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ თავის მომდევნო გადაწყვეტილებებში ჭაჭაშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები შემოიტანა.⁵⁰ ამრიგად, მან უარი თქვა ადრე დამკვიდრებულ მოთხოვნაზე, რომ მოწმეთა ჩვენება სხვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებებით უნდა დასტურდებოდეს და დამაკმაყოფილებლად მიიჩნია

წარმოდგენილი ჩვენების ფრთხილი შეფასება.⁵¹ ეს ცვლილება სასამართლომ დაასაბუთა იმ არგუმენტით, რომ წარსულში გამოყენებული მიდგომა მტკიცებულების შეფასების მკაცრ წესს წარმოადგენდა, რომელიც გსსსკ-ის 261-ე პარაგრაფით დადგენილ მოსამართლის მიერ მტკიცებულების შეფასების თავისუფლების პრინციპს არღვევს.⁵² ამას გარდა, გერმანელმა კანონმდებელმა ცალსახად დაარეგულირა გამოძიების ეტაპზე მოსამართლის მიერ მოწმეთა დაკითხვის პროცესში ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობა⁵³ იმ შემთხვევებში, როდესაც, გსსსკ-ის 140-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-10 პუნქტის შესაბამისად, დაკითხვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს აუცილებელი ჩანს ბრალდებულის უფლებების დასაცავად.⁵⁴

⁵¹ ეს საკითხი ძალიან სადავოა გერმანულ ლიტერატურაში. წინააღმდეგობრივად და დახსული, რომ ბოლო დროს, ფედერალურმა სასამართლომ სტრასბურგის სასამართლოს გამკაცრებული პრაქტიკის საპირისპიროდ, წინაპირობები გაამარტივა. ლიტერატურაში არსებული გაბატონებული მოსაზრება მოითხოვს მტკიცებულების გამოყენების აკრძალვას, რადგან მხოლოდ ასე იქნება შესაძლებელი საპროცესო პრინციპის დარღვევისთვის ანგარიშის გაწევა; შდრ. *Gaede, Karsten*, in: *Münchener Kommentar, StPO*, 1. Aufl., 2014 ff., Art. 6 EMRK Rn. 262 ff.; *Paeffgen, Hans-Ullrich*, in: *Systematischer Kommentar, StPO*, 5. Aufl., 2015 ff., Art. 6 EMRK Rn. 155.

⁵² შდრ. *Beulke, Werner/Swoboda, Sabine*, *Strafprozessrecht*, 15. Aufl., 2020, Rn. 190.

⁵³ თავდაპირველად, სისხლის სამართლის პროცესის ეფექტური და გამოსადეგი პრაქტიკის ორგანიზების 17.08.2017 წლის კანონის მეშვეობით, ცვლილება შეტანილ იქნა გსსსკ-ის 140-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის მე-4 წინადადებაში (ძველი რედაქცია), რომელიც ძალაშია 2017 წლის 24 აგვისტოდან, ფედერალური საკანონმდებლო მაცნე, 2017 I 3202, შდრ. *Willnow, Günter*, *Karlsruher Kommentar, StPO*, 8. Aufl. 2019, §§ 137 ff., Rn. 1 ბოლოს, §141 Rn. 6; 2019 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით, სავალდებულო დაცვის უფლების ახლებული რეგულაციის 10.12.2019 წლის კანონის მეშვეობით, ეს ნორმა სიტყვასიტყვით აისახა გსსსკ-ის 140-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-10 პუნქტში, შდრ. ფედერალური საკანონმდებლო მაცნე, 19 I 2129.

⁵⁴ გსსსკ-ის 140-ე პარაგრაფი არეგულირებს ე.წ. სავალდებულო დაცვას. აქ ჩამოთვლილ შემთხვევებში, ბრალდებულს უნდა დაენიშნოს ადვოკატი, თუ საქმეში ჯერ კიდევ არ მონაწილეობს მისი უფლებადამცველი, შდრ. *Krawczyk, Lucian*, in: *Beck'scher Online-Kommentar, StPO*, 41. Edition Stand 01.10.2021, § 140 StPO Rn. 18.

⁴⁷ *Frowein, Jochen Abraham/Villiger, Mark Eugen*, *HRLJ (Human Rights Law Journal)* 1988, 40; *Grabenwarter, Christoph/Pabel, Katharina*, *Europäische Menschenrechtskonvention*, 7. Aufl., 2021, § 16 Rn. 8; *Ress, Georg*, *ZaöRV (Zeitschrift für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht)* 2004, 621, 630 f.

⁴⁸ BVerfGE 111, 307, 324 f.; *Grabenwarter, Christoph/Pabel, Katharina*, *Europäische Menschenrechtskonvention*, 7. Aufl., 2021, § 16 Rn. 10.

⁴⁹ BVerfGE 128, 326, 368 f.; BVerfGE 148, 296, 354; *Grabenwarter, Christoph/Pabel, Katharina*, *Europäische Menschenrechtskonvention*, 7. Aufl., 2021, § 16 Rn. 14.

⁵⁰ BGH NSTz 2017, 602; BGH NSTz 2018, 51; მხარდაჭერილია: *Lohse, Kai/Jakobs, Sebastian*, in: *Karlsruher Kommentar, StPO*, 8. Aufl., 2019, Art. 6 EMRK Rn. 112.

V. კრიტიკა და მოსაზრება

საქმის განხილვის სამართლიანობის შეფასების თვალსაზრისით, სტრასბურგის სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს გამოძიების ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ეროვნული სახელმწიფო ორგანოებისთვის აყალიბებს ცალსახა მოწოდებას, ბრალდებულის უფლებების დაცვა საკმარისად უზრუნველყონ ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზე.⁵⁵ ეს არის მნიშვნელოვანი და ლოგიკური შედეგი ბრალდებულის უფლებების ეფექტური და ყოვლისმომცველი დაცვისათვის, რადგან ამ სტადიაზე, მტკიცებულებათა მოპოვების გზით, იქმნება საფუძველი არსებითი განხილვის სხდომისათვის და ასე მოიპოვება ინფორმაცია, რომელიც გავლენას ახდენს არსებითი სხდომის შინაარსზე, მის მიმდინარეობაზე და შესაბამისად, ზემოქმედებს გადაწყვეტილების შინაარსზე.⁵⁶ ეს განსაკუთრებით ისეთი შემთხვევებს ეხება, როდესაც მტკიცებულებათა გამოკვლევა, რაც, მონმეთა ჩვენებების მსგავსად, არსებითი განხილვის სხდომის არსს წარმოადგენს, გამოძიების ეტაპზე გადმოინაცვლებს. ასეთ შემთხვევაში, ბრალდებული ამ სტადიაზე ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდეს, როგორც არსებითი განხილვის სხდომაზე. მოცემულ შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლოს მიერწარმოდგენილი ჰიპოთეზა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები უკვე გამოძიების ეტაპზე ვარაუდობდნენ, რომ დაზარალებულები მთავარ სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდნენ, ერთი შეხედვით, გაუგებარია, ვინაიდან უცხოეთში ყოფნა, როგორც წესი, არ იწვევს მონმის მიუწვდომლობას.⁵⁷ ამის სასარგებლოდ, კონკრეტულ შემთხვევაში ისიც მეტყველებს, რომ დაზარალებულები მიემგზავრებოდნენ ლატვიაში, რომელიც ევროკავშირის წევრი

სახელმწიფოა და რომელთანაც სავალდებულო ძალის მქონე სამართლებრივი დახმარების შეთანხმება არსებობს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ეჭვი იქნეს შეტანილი სტრასბურგის სასამართლოს ნდობაში მსგავსი ტრანსსასაზღვრო შეთანხმებების ფუნქციურობის მიმართ.⁵⁸ თუმცა, შესაძლებელია, სასამართლოს მოსაზრება სხვაგვარადაც იქნეს დანახული. კერძოდ, სასამართლომ ერთიანად მიიღო მხედველობაში კონკრეტული შემთხვევის გარემოებები, რომელშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაზარალებულებმა ბრალდებულების მხრიდან შურისძიების შიშისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებთან პოტენციური კონფლიქტური სიტუაციების გამო, დანაშაულის შესახებ განცხადების შეტანაც დააყოვნეს.⁵⁹ ამას გარდა, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ჩვენებების უზრუნველსაყოფად მონმეთა მოსამართლის მიერ დაკითხვა საგამოძიებო ორგანოების მხრიდან გატარებული განსაკუთრებული ღონისძიება იყო და ამდენად, წარმოადგენდა მათ გაცნობიერებულ გადაწყვეტილებას „მეტი“ გარანტიისათვის, ვიდრე ეს უკვე განხორციელებული საპოლიციო დაკითხვებით იყო უზრუნველყოფილი. თუ საგამოძიებო ორგანოები მიიღებენ გადაწყვეტილებას ამგვარი „მაღალი სტანდარტით“ დაკითხვის ჩატარებაზე, მაშინ საკომპენსაციოდ ბრალდებულის უფლებებიც უფრო მეტად უნდა იქნეს გათვალისწინებული.⁶⁰ სხვა სიტყვებით, თუ საგამოძიებო ორგანოების მხრიდან დანახული იქნება მტკიცებულების დაკარგვის რისკი, ეს რისკი გათვალისწინებული უნდა იყოს ბრალდებულის უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც. თუმცა, ეს პრინციპულად სწორი დასკვნა გამოძიების მიზნების ქრილშიცაა განსახილველი, რომელსაც სტრასბურგის სასამართლო სრულად უყურადღებოდ ტოვებს. მოსამართლის მიერ მონმეთა დაკითხვის დროს, ბრალდებულმა არ იცოდა მის წინააღმდეგ

⁵⁵ *Satzger, Helmut*, JURA 2016, 1083; *Thörnich, Diana*, ZIS 2017, 39, 55.

⁵⁶ *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ*, მოსამართლეების: *შპილმანის, კარაკასის, შაიოსა და კელერის* განსხვავებული აზრი, მე-13 პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159566> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021); *Dionysopoulou, Athansia*, ZIS 2017, 629, 635; *Thörnich, Diana*, ZIS 2017, 39, 50.

⁵⁷ *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ*, 120-ე პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159566> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021); *EGMR Haas v. Deutschland*, NSTZ 2007, 103, 104 f.; *BGH NJW* 2000, 443, 447.

⁵⁸ *Thörnich, Diana*, ZIS 2017, 39, 51; ასევე, *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ*, მოსამართლეების: *ჰირველას, პოპოვიჩის, პარდალოსის, ნუსბერგერის, მაჰონისა და კურისის* განსხვავებული აზრი, მე-15 პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159566> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021).

⁵⁹ *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ*, 159-ე პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159566> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021).

⁶⁰ *Thörnich, Diana*, ZIS 2017, 39, 53.

მიმდინარე გამოძიების შესახებ. ადვოკატის დანიშვნის შემთხვევაში, ეს მოცემულობა შეიცვლებოდა და საგამოძიებო ორგანოების ლოგიკური შეფასებით, გამოძიების შედეგიანობა საფრთხის ქვეშ დადგებოდა.

ამასთანავე, საკითხავია, მიიღწევა თუ არა კონფრონტაციის უფლების გაძლიერების მიზანი სტრასბურგის სასამართლოს მიერ განვითარებული სტანდარტების მეშვეობით. შეფასებისას ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს მიერ დასახელებულ არც ერთ დამაბალანსებელ ღონისძიებას არ შეუძლია მონმესთან უშუალო კონფრონტაციის სრულად კომპენსირება, რადგან მხოლოდ ამ გზით არსებობს მონმეთა სანდოობის ექვეყნე დაყენების ეფექტური შესაძლებლობა. წერილობით გამოკითხვას ან მონმეთა ადრინდელი ჩვენების ჩანაწერის ყურებას ამის უზრუნველყოფა არ შეუძლია. მიუხედავად ამისა, არსებობს შემთხვევები, როდესაც სასამართლო იძულებულია, გადაჭრას საკითხი, თუ როგორ შეიძლება ბრალდებულის კონფრონტაციის უფლება უზრუნველყოფილი იყოს იმ პირობებში, როდესაც მონმეთა უშუალო დაკითხვა არა არის შესაძლებელი. აქ უპირველესად, მისასალმებელია, რომ სტრასბურგის სასამართლომ კონკრეტული ფაქტორები დაასახელა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია არსებითი განხილვის სხდომაზე მონმეთა უშუალო დაკითხვის შეუძლებლობის კომპენსირება, რადგან კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევის აღიარებისთვის საჭიროა მკაფიო კონტურები, რათა უფლების ეფექტური დაცვა იყოს უზრუნველყოფილი. კონფლიქტი, რომელიც კონკრეტულ უფლებასა და სხვა უფლებებსა თუ ინტერესებს შორის წარმოიშობა, უნდა იქნეს გამოკვლეული და ამის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებიც სამართალგამომყენებელ ორგანოებს მათზე ორიენტირების შესაძლებლობას მისცემს. მხოლოდ ამგვარად შეიძლება წარმოიშვას სამართლებრივი უსაფრთხოება და უზრუნველყოფილ იქნეს კონვენციის უფლებების დაცვის ერთიანი მიდგომა. თუმცა, ეს არ ცვლის იმ გარემოებას, რომ სასამართლოს მოთხოვნის შედეგად – ყველა საფეხური შემონმდეს, მიუხედავად პირველი ან მეორე საფეხურის უარყოფისა – საბოლოო ჯამში კონცენტრირება ხდება საერთო სამართლიანობის საკითხზე. სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისთვის მოქმედების კონკრეტუ-

ლი საზღვრების დადგენისგან თავი შეკავება განზრახ მოხდა. განსხვავებული აზრის ფარგლებში, ამ საკითხთან დაკავშირებით ნუხილი გამოთქვა საქმის განხილველმა რამდენიმე მოსამართლემ. მათ გამოხატეს შემფოთება, რომ ეროვნული სახელმწიფო უწყებებისადმი მკაფიო მითითებების გარეშე, ორაზროვანი მოთხოვნებით სამართლებრივი უსაფრთხოება ვერ მიიღწევა, არამედ, ამის საპირისპიროდ, იქმნება ბრალდებულის უფლებების შელახვის საფრთხე.⁶¹ ამას გარდა, მოსამართლეებს მოჰყავთ დამატებითი არგუმენტი: თუ პირველი ორი საფეხურის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შემდგომი შემონმება შეწყდება, ეს პროცესის ეკონომიურობის პრინციპის მიზნებს შეუწყობს ხელს.⁶² ბრალდებულის კონფრონტაციის უფლების დაკნინებასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები ბევრმა კრიტიკოსმა გაიზიარა,⁶³ რადგან საქმის განხილვის სამართლიანობის მთლიან სურათში უპირობო შემონმებით, პირველი ორი საფეხურის მნიშვნელობა შემცირდა და სრულიად ფარდობითი, რელატიური გახდა.⁶⁴ მესამე საფეხური კი ერთგვარ „სამაშველო ღუზად“ იქცა, რომელსაც შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ნებისმიერი შეცდომის გაბათილება შეუძლია. ამის საპირისპიროდ, პირველი ორი საფეხური მესამე საფეხურის საერთო სურათისთვის უბრალო მინიშნებად გადაიქცა და ამგვარად, დაკარგა შემონმებას დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საფეხურის მნიშვნელობა. ხაზის ასეთი განვითარება, დოგმატური თვალსაზრისით, ასევე წინააღმდეგობაშია კონვენციის მე-6 მუხლის სისტემასთან, რომელიც მე-6 მუხლის მე-3 აბზაცში დასახელებულ უფლებებს საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპის კონკრეტულ გამოვლინებად მოიაზრებს. სამართლიანობის მთლი-

⁶¹ *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ*, მოსამართლეების: *შპილმანის, კარაკასის, შაიოსა და კელერის* განსხვავებული აზრი, მე-17 პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159566> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021).

⁶² *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ*, მოსამართლეების: *შპილმანის, კარაკასის, შაიოსა და კელერის* განსხვავებული აზრი, მე-7 პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159566> (ბოლოს ნანახია: 27.12.2021).

⁶³ *Dionysopoulou, Athanasia*, ZIS 2017, 629, 633; *Esser, Robert*, Anm. zu BGH NStZ 2017, 602, 604, 606; *Satzger, Helmut*, Internationales und Europäisches Strafrecht, 9. Aufl., 2020, § 11 Rn. 89.

⁶⁴ *Dionysopoulou, Athansia*, ZIS 2017, 629, 633, 636; *Esser, Robert*, Anm. zu BGH NStZ 2017, 602, 605.

ანი სურათის შეფასებასთან მიმართებით ბრალდებულის კონფრონტაციის უფლების შესუსტებით, საქმის განხილვის სამართლიანობის მიზნის მიღწევა ფერხდება.⁶⁵ შესაბამისად, კვლავ ბევრი ღია შეკითხვა რჩება, რომელიც გაურკვეველობას იწვევს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სასამართლო ღონისძიება არის შესაბამისობაში ბრალდებულის კონფრონტაციის უფლებასთან, რომელიც ეფექტური დაცვის ხელშეწყობას არ გულისხმობს.⁶⁶ სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა შესაძლოა იმ მიზანს ემსახურებოდეს, რომ წვერი სახელმწიფოების განსხვავებული ეროვნული სამართლებრივი სისტემების გათვალისწინებით, ინდივიდუალური სამართლიანობა იქნეს უზრუნველყოფილი.⁶⁷ ამდენად, სასამართლოს არ სურს, იმოქმედოს, როგორც „ზემდგომმა საკასაციო ინსტანციამ“ („Superrevisionsinstanz“) და ის, ამასთანავე, პატივს სცემს ეროვნულ დონეზე წვერი სახელმწიფოების მიერ გადანყვეტილების მიღების თავისუფლებას, საპროცესო სამართლის ჩამოყალიბების კუთხით.⁶⁸ ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა ჩამოყალიბებულია ინგლისური პრეცედენტული სამართლიდან, რომლისთვისაც დამახასიათებელია საერთო ბალანსი, როგორც არაპორპორციული შედეგებისგან თავის დაცვა.⁶⁹ კონფრონტაციის უფლებასთან კავშირში, მსგავსი შედეგი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც შესამოწმებელი საფეხურები ერთმანეთთან მიმართებით ღიაა და არ შეიცავენ მკაცრ წესებს. ამდენად, გადანყვეტილება სამაგალითოდ აჩვენებს სტრასბურგის სასამართლოს

სირთულეებს, კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოებში არსებული სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მიუხედავად, ჩამოაყალიბოს ერთიანი და საკმარისად კონკრეტული მოთხოვნები, რომლებიც იძლევიან ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვის საშუალებას ისე, რომ არ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არ დაიკარგოს ინდივიდუალური სამართლიანობა. მართლაც, მიუხედავად ამისა, სტრასბურგის სასამართლოს ფუნქციებში, შესაძლოა, ყოფილიყო კონვენციით დაცული უფლებების განხორციელებისათვის მიმართულების განმსაზღვრელი მითითებების დადგენა, თუ იგი, საკმარისი კონკრეტიზაციის გზით მათ გაძლიერებას, ცალკეული შემთხვევის ინდივიდუალური სამართლიანობის მიზნებისთვის არ დათმობდა.

⁶⁵ მსგავსად *Gaede, Karsten*, in: *Münchener Kommentar, StPO*, 1. Aufl., 2014 ff., Art. 6 EMRK Rn. 269.

⁶⁶ *Esser, Robert/Gaede, Karsten/ Tsambikakis, Michael*, *NStZ* 2012, 619, 620 ff.; *Gaede, Karsten*, in: *Münchener Kommentar, StPO*, 1. Aufl., 2014 ff., Art. 6 EMRK Rn. 271.

⁶⁷ *Dionysopoulou, Athanasia*, *ZIS* 2017, 629, 632; *Satzger, Helmut*, *Internationales und Europäisches Strafrecht*, 9. Aufl., 2020, § 11 Rn. 89; *Thörnich, Diana*, *ZIS* 2017, 39 (47).

⁶⁸ *Thörnich, Diana*, *ZIS* 2017, 39, 44, 48; ამასთან დაკავშირებით იხ. *EGMR Holub v. Tschechien*, *NJW* 2011, 3143, 3145; *Mensching, Christian*, in: *Karpenstein, Ulrich/Mayer, Franz Christian*, *EMRK*, 2. Aufl., 2015, Art. 10 Rn. 45.

⁶⁹ *Paeffgen, Hans-Ullrich*, in: *Systematischer Kommentar, StPO*, 5. Aufl., 2015 ff., Art. 6 EMRK Rn. 157 f. საუბრობს „ღია უკანა კარზე“; შდრ. ასევე *Dionysopoulou, Athanasia*, *ZIS* 2017, 629, 631 f., 634; *Esser, Robert*, Anm. zu *BGH NStZ* 2017, 602, 605.